საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 2 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №238/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 24 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის №238/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა კანონიერების ნაწილში.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ უკანონოდ და უსაფუძვლოდ მიიღო -- -- სარჩელი განსახილველად, ასევე უკანონოდ დააკმაყოფილა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე. მოსამართლემ მას სრულიად უსაფუძვლოდ უთხრა უარი 2018 წლის 20 მარტს წარდგენილი შუამდგომლობის (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე) დაკმაყოფილებაზე 2018 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე. იმისათვის, რომ გასაჩივრების 12 დღიანი ვადა არ გაეშვა, -- -- წარადგინა კერძო საჩივარი, თუმცა როგორც თავად აღნიშნა, მოსამართლე და თანაშემწე ვერ გაერკვნენ რასთან დაკავშირებით წარადგინა მან საჩივარი, ვინაიდან მოსამართლეს რაიმე სახის განჩინება არ მიუღია. 2018 წლის 17 სექტემბერს -- -- დამატებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების იმ ნაწილის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, რომლითაც გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და განახლდა სააღსრულებო წარმოება. თუმცა, როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, მისთვის მოულოდნელად გაირკვა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოსამართლეს საერთოდ არც გაუქმებია. მოსამართლემ შეგნებულად შეცვალა 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება, კერძოდ ზეპირი ფორმით გამოცხადებული გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე შეცვალა შემდეგი სიტყვებით „სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება რჩება ძალაში“.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით ჩააბარა მას გადაწყვეტილების ასლი. ასევე, მოსამართლეს საჩივრის წარმოდგენის მომენტისთვის არ ჰქონდა მომზადებული 2018 წლის 3 აგვისტოს სხდომის ამსახველი ოქმი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 6 მარტს, -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ, სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობისა და სააღსრულებო წარმოების შეჩერების თაობაზე.

-- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 7 მარტის განჩინებით, -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შეჩერდა ნოტარიუს -- -- მიერ 2017 წლის 14 დეკემბერს გაცემული N-- სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება.

2018 წლის 12 მარტს -- -- განცხადება წარადგინა სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ.

-- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- (პ/ნ --) დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში განახორციელოს -- -- მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე (--) -- ლარის განთავსებით.

2018 წლის 20 მარტს -- -- სასამართლოში წარადგინა შესაგებელი სადაც იშუამდგომლა (იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდება -- -- სარჩელი) პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების იმ ნაწილის მიქცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რომლითაც შეჩერდა სააღსრულებო წარმოება.

2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, მოპასუხე -- -- წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა. -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს დაემატა შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი: „გაუქმდეს -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 07 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შეჩერდა ნოტარიუს -- -- მიერ 2017 წლის 14 დეკემბერს გაცემული N-- სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება.“

-- საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება -- -- გაასაჩივრა სააპელაციო წესით. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 ნოემბრის განჩინებით, -- -- საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 24 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საპროცესო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.5. მუხლის მიხედვით მოსამართლემ ყველა სამოსამართლო ფუნქცია, მათ შორის გადადებულ გადაწყვეტილებათა მიღება უნდა განახორციელოს ეფექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით. ამასთან, „საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას. მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება მოსამართლემ უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიეს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. Golderc. Royaume-Uni, 21 février 1975, §28-36, série Ano 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. Hornsby, ხსენებული ზემოთ §§40 და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (Vermeulenv. Belgium, §34; Lobo Machadov. Portugal, §32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (,,დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ'' (Diennetv. France, §33);,, მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ'' (Martiniev. France [GC], §39)).

მოცემულ შემთხვევაში საჩივარი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამასთან, ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

ამდენად, აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

მოსამართლე -- -- გადაწყვეტილება გამოაცხადა 2018 წლის 3 აგვისტოს, შესაბამისად მხარისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2018 წლის 4 სექტემბრიდან და დასრულდა - 2018 წლის 18 სექტემბერს. -- -- წარმომადგენელმა გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა 2018 წლის 21 სექტემბერს.

უნდა აღინიშნოს, რომ მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის გათვალისწინებული ვადა ამოეწურა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 6 დღით ადრე, თუმცა ფაქტია, რომ მხარეს გასაჩივრების უფლებით არ უსარგებლია და კონკრეტული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია ზემდგომ ინსტანციაში. ამასთან, მოსამართლე -- -- მიერ კანონით დადგენილ ვადაში მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაუბარებლობას რაიმე სახის ზიანი მხარისათვის არ მიუყენებია. მოსამართლის ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4.2. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ 2018 წლის 3 აგვისტოს სხდომის ოქმი მომზადდა დაგვიანებით. როგორც მატერიალური, ასევე საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის მიხედვით, სხდომის ოქმის ატვირთვის პერიოდია 2018 წლის 3 დან - 6 აგვისტომდე. ის ფაქტი, რომ სხდომის ოქმი ელექტრონულ ვერსიასთან ერთად მხარემ ჩაიბარა 2018 წლის 26 სექტემბერს არ წარმოადგენს იმის უტყუარ მტკიცებულებას, რომ სხდომის ოქმი მომზადდა დაგვიანებით.

4.3. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არ იმსჯელა მის შუამდგომლობაზე, რომლითაც იგი ითხოვდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას. კონკრეტული შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას -- -- ინტერესს წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, რომლითაც შეჩერდა სააღსრულებო წარმოება. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ძირითადი სარჩელი, შესაბამისად მის მიერ ასევე უნდა გაუქმებულიყო საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199[1] მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილდება. ამავე კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად „სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.“ მოსამართლე -- -- 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებაში შეიტანა დამატებითი პუნქტი, რომლითაც გააუქმა 2018 წლის 7 მარტის განჩინებით გატარებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლე მოქმედებდა კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მისი მხრიდან რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან - 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №238/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი